დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის
შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინა ძულიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თინათინ ბედუკაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ალა სანამიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეონა შერაზადაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნატო გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970849

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის რაიონი
ფაქტობრივი მისამართი	ხონი, სოფელი ახალშენი, მე-7 ქუჩა, N 1
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	namashevi@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	511110406

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11.02 N MES 0 26 0000150777 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წელი, 9-10 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ

				მისამართზე შენობანაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი , მე-7 ქუჩა, N1 (ერთი შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი ,სოფელი ახალშენი , მე-7 ქუჩა, N1 (ერთი შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქარული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალშენი , მე-7 ქუჩა, N1

				(ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 9-10 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლაში. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია.

ვიზიტის დღის წესრიგი გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დაათვალიერა სკოლის შენობა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები Teams პლატფორმის საშუალებით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიურების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები. შეხვედრისას განხილულ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. საგნობრივ ექსპერტებს გადაეგზავნათ ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა შეაჯამებს ორივე დღე და მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლამ 2026 წლის 3 აპრილის წარადგინა კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N403874) არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით . წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება შემდეგი სახის გარემოებები **ხარვეზებთან მიმართებით:**

ინდიკატორი N3.1.1.1.

სკოლამ წარმოადგინა ახალი ორგანოგრამა (სტრუქტურის სქემა) ,რომელიც უკვე ასახავს სკოლის სრულ მმართველობით სტრუქტურას. ორგანოგრამას დამატებული აქვს დირექციის ბლოკი. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო აღნიშნული მტკიცებულება, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.1.2.3

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში სკოლამ აიღო ვალდებულება (**2026 წლის მარტი-2026 წლის სექტემბერი**)უზრუნველყოს მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად . ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „ მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.1.2.4

სკოლამ დირექტორის N-370335 ბრძანებით დაამტკიცა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ახალი დოკუმენტი, განსაზღვრა ცეკვის წრის ხელმძღვანელის და მუშის კვალიფიკაცია. ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით
„ დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.4.1.1

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სურათები ადასტურებს სკოლის ეზოში არსებული დამხმარე შენობა-ნაგებობის შემოღობვას მის სრულ დემონტაჟამდე.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება **2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი** წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული „ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია.“

ინდიკატორი 3.4.1.2

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო დახარჯული მედიკამენტების, სამედიცინო მასალების და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმები. სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01- 41/ნ-ის შესაბამისად. ექიმის კაბინეტში დამონტაჟდა ხელსაბანი და წამლების კარადა, რომელიც იკეტება. კაბინეტისთვის კომპიუტერის მოთხოვნის მიზნით სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას (MES 1 26 0000166258). შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით „ დაკმაყოფილებულია.“

ინდიკატორი 3.5.1.3

დაწესებულებამ წარმოადგინა ბიბლიოთეკის წესისა და დებულების შესაბამისად აღრიცხული და დამუშავებული წიგნების ამსახველი ფოტო-მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით „ დაკმაყოფილებულია.“

ინდიკატორი 3.5.1.4

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში აიღო ვალდებულება, რომ(**2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი**) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის. ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული „ შეიცვალა შეფასებით „ მეტწილად დაკმაყოფილებულია.“

ინდიკატორი 2.2.2.3.

დაწესებულებამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობის ვადად განსაზღვრა 02.01.2026-02.01.2027 წლები . ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის

საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული „ შეცვალა შეფასებით „ მეტწილად დაკმაყოფილებულია.“

ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობა

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	...ება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	
მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ეთანხმება ☒	თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

ინდიკატორი N		
ტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (**2026 წლის მარტი-2026 წლის სექტემბერი**)უზრუნველყოს მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად .
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ	➢ სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (**2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი)** წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა . ➢ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (**2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი)** სკოლამ წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (**2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი**) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.01.2026-02.01.2027 წლები) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია, სკოლამ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ პოზიცია.

ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	მიზანშეწონილია, სკოლამ დააკორექტიროს სამოქმედო გეგმა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად, ნაცვლად მანდატურისა, ასახოს უფლებამოსილი პირი.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	მიზანშეწონილია, სკოლამ პესონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თანხვედრაში მოიყვანოს პირადი საქმეები (სკოლის დარაჯის და დამლაგებლების პირად საქმეში არ იყო საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა).

ინდიკატორი 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სასურველია, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში განსაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი/პოზიცია.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-	სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს / დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა პრინტერითა და კომპიუტერით, რათა ხელი შეეწყოს საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სასურველია, სკოლამ აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორია ახალი კომპიუტერებით, რათა ხელი არ შეეშალოს ეროვნული სასაწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამებით სწავლებას.

ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოაკრას ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი.
ინდიკატორი 3.6.3.4	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,	სასურველია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
	ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი, რომლის მეშვეობით დაადგენს საჭიროებებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.
ინდიკატორი 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მუდმივი მექანიზმი, რათა მოსწავლეებს მათ ინტერესებზე მორგებული დახმარება გაუწიოს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა

ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა:** • სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში, თემატური ერთეულების ფარგლებში, უფრო თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი დავალებების სისტემა ყველა კლასისთვის, რაც უკეთ გამოკვეთს სასწავლო პროცესის დაგეგმვას. • სასურველია, სკოლის დასახელება მითითებული იყოს ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **ტექნოლოგიები:** • სასურველია, გადაიხედოს საგნობრივი კურიკულუმი და თითოეული სამიზნე ცნება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან;

		• დაფარული იქნას სამიზნე ცნებების შესაბამისი ყველა საკითხი სასწავლო თემებისათვის თემატური ჩარჩოდან (იხ. კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტი); • ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ის რაოდენობა, რომელთა განხორციელება რეალურადაა შესაძლებელი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; მაგ., მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“, ასევე, XI და XII კლასების ისტორიის კურიკულუმებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“. • სასურველია, სამიზნე ცნებებისა და თემების სახელწოდებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; მაგ., მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეცდომით არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები: „სოციალიზაცია“ და „ინიციატივა და მეწარმეობა“. საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მოქმედ სტანდარტში აღნიშნული ცნებები არ არის წარმოდგენილი. ასევე, XII კლასის ისტორიისა და საქართველოს

		ისტორიის კურიკულუმებში თემები არ ემთხვევა მოქმედი სტანდარტით წარმოდგენილ სავალდებულო თემებს. მოცემული თემები დასაზუსტებელია და გადასატანია ქვეთემებად. • სასურველია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება;

		მაგ., ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების გასწვრივ წარმოდგენილია საკითხთა ჩამონათვალი. რთულია განვსაზღვროთ, რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით მუშავდება. • სასურველია,კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში, მაგ., ყველა კურიკულუმში წარმოდგენილია იმ რაოდენობის შემოქმედებითი ტიპის დავალება, რის განხორციელებაც დროში შეუძლებელია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო წლის კურიკულუმებში ეს საკითხი გადაიხედება და გაწერენ მხოლოდ იმ რაოდენობის შემოქმედებითი ტიპის დავალებას, რის განხორციელებასაც რეალურად შეძლებენ. • სასურველია, თითოეულ ცნებასთან მიმართებაში დაზუსტეს ქვეცნებები; არცერთი კლასისა და საგნის კურიკულუმში არ არის დაზუსტებული ქვეცნებები.

		• სასურველია, კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება; • სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; მაგ., მოქალაქეობის არცერთი კლასისა და საგნის კურიკულუმში არ არის მითითებული ძირითადი რესურსი-სახელმძღვანელო. • სასურველია, საგანში „პროექტული სწავლება მოქალაქეობაში“ კათედრაზე დაიგეგმოს სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე ტიპის პროექტი. მაგ., სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად ვხვდებით საინფორმაციო ტიპის პროექტებს, დაგეგმვის დროს ასევე უნდა გაიწეროს და განხორციელდეს საქველმოქმედო, ინფრასტრუქტურული და ადვოკატირების ტიპის პროექტები.

		უცხოური ენები: • სასურველია, სკოლამ გრძელვადიანი მიზნების ზოგად ჭრილში მითითებასთან ერთად, დააკონკრეტოს რომელ ქვეცნებასა და კონრეტული საფუხურის რომელი შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის შემოქმედებითი აქტივობა (შუალედური მიზანი). • ასევე, სასურველია, შეასწორონ სამიზნე ცნებები პირველ - მეოთხე კლასებში და საბაზო საფეხურის მეშვიდე-მერვე კლასებში და მოარგონ კონკრეტული საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. **სახელმწიფო ენა:** • სასურველია თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები), რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს.

		მათემატიკა: • სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** • სასურველია, გადაიხედოს კურიკულუმების ჩარჩო თითოეულ საგანში, მიეთითოს მათში სკოლის სრული სახელწოდება, ზოგიერთ

		შემთხვევაში თემების მიხედვით დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა. • სასურველია, მათემატიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლის განხორციელებაც იქნება რეალურად შესაძლებელი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**უცხოური ენები:** სასურველია, რომ დამატებითი ელექტორნული რესურსების ენობრივი შეესაბამებოდეს მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს, რათა კონკრეტულ ვიდეო რესური მოსაწვლისთვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი შესაბამისად სკოლამ დამატებითი ვიდეო რესურსები შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოსწავლის რეალური ენობრივი კომპეტენცია.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, კათედრამ კიდევ უფრო გააღრმავოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, ისე შეიმუშავოს დავალების პირობა, რომ მოსწავლეებს მისცეს სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის, სამიზნე ცნების დამუშავების, მოსწავლის საბოლოო პროდუქტზე მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). • სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. • სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.

		• სასურველია, შეფასების სქემები შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. **ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დააზუსტოს - რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს - რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა - რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ. **სახელმწიფო ენა:** • სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს. **მათემატიკა:** • სასურველია, სამივე საფეხურის შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან

		მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით (V; VII; XI კლასები). • სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის (VII, XI კლასების) შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში უკეთესად იყოს გააზრებული თემატური ბლოკის მნიშვნელობა, პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში თემის გრაფაში მოცემული დასახელება ჩაიწეროს თემატური ბლოკის გრაფაში, III, IV, V, VI კლასების მსგავსად.

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). • სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. • სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. • სასურველია, შეფასების სქემები შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. **ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დააზუსტოს - რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს - რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა - რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.

		სახელმწიფო ენა:

		• სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც შეფასების პროცესის ობიექტურობასა და სანდოობას მეტად უზრუნველყოფს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** • სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამატებითი რესურსების შერჩევისა და გამოყენების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც გაიწერება რა რესურსს, რა მიზნით და რატომ არჩევს კათედრა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მისია მიზნად ისახავს აღზარდოს პიროვნება, რომელიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს და ამასთანავე, მტკიცედ ეყრდნობოდეს ეროვნულ ფესვებს. სკოლა ქმნის უსაფრთხო, თანასწორ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო და სოციოკულტურულ სივრცეს, სადაც პრიორიტეტია :

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა;

სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;

მატერიალური–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

პედაგოგთა პროფესიული განვითარება;

საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების დამკვიდრება;

მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მათი დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან;

მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებებისა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა დაფასების ტრადიციების დამკვიდრება.

მისიის განხორციელების შედეგად სკოლის თითოეული მოსწავლე აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით და სოციალურად სწორი ორიენტაციით.

სკოლის ხედვა ეფუძვნება მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ სკოლას, რომელიც მუდმივად ზრუნავს სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენასა და წარმატებას, მოსწავლეებში ცხოვრებისთვის საჭირო უნარჩვევებისა და სოციალურად სწორი ორიენტაციის განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

   სკოლის მისიასა და ხედვაში მკაფიოდ ჩანს სკოლის როლი უსაფრთხო, პოზიტიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ღირებულებების განვითარებაზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიიის დოკუმენტი. წარმოდგენილი სხდომის ოქმებით (სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი N1 3.09.2025 წ. და ოქმი N 2 12.09.2025 წ.)დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სკოლის მისიის, ხედვის,ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის ფილოსოფიაზე (ბრძანება N 954829).
წლის დასაწყისში სკოლის ფილოსოფიის რევიზიის მიზნით შექმნილმა ჯგუფმა (2025 წლის 6 აგვისტოს N 954832 ბრძანება) მოახდინა სკოლის ფილოსოფიის ძველი დოკუმენტაციის ვარგისიანობის შეფასება. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის ფილოსოფიის შეცვლა გადაწყვიტეს მას შემდეგ, რაც შეიცვალა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, სკოლაში დაინიშნა ახალი დირექტორი და სკოლა შეივსო ახალი კადრებით. გააანალიზეს სკოლის ძველი ფილოსოფიის დოკუმენტი. ახალი მისიისა და ხედვის შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები და გამოკვეთილი სასკოლო პრიორიტეტები. ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის პროექტი. სკოლის მიერ ფილოსოფიის შემუშავების პროცესი წარიმართა შესაბამისი მეთოდოლოგიით. პროექტის შემუშავების შემდეგ მოხდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და სკოლაში, პრეზენტაციის სახით, სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან და დაიტერესებულ პირებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიით (თავი 6) გათვალისწინებულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები: ა) სკოლის ვებგვერდი;

   ბ) ელექტრონული ფოსტა;

   გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;

   დ) პორტალი ვებგვერდზე;

   ე) სოციალური მედია;

   ვ) საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ფილოსოფიის გაზიარებას, კერძოდ: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განიხილეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ასევე, სკოლის მშობელთა კრებაზე, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სკოლის თვითმმართველობასთან, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით (ოქმიN3 15.09.2025 წელი). დოკუმენტი დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს N 3 სხდომაზე (17.09.2025) რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლის დირექტორი და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე შეხვედრისას მშობლებს აცნობენ სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება და სტატუსი მინიჭებულია 448-ე დადგენილებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი

დაკმაყოფილებულია

დასტურდება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები

სასკოლო სასწავლო გეგმა დანართი N-1

სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი N-2

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დანართი N-3

მისია, ხედვა, ღირებულებები დანართი N-109

სოციალური გვერდი ლინკი

სოც-გვერდი 2 ლინკი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 15.19.2005 (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სმართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ) დანართი N-5

სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის

ოქმი N1, ოქმი N2 და ოქმი N 3

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს
   სკოლამ (15. 07.2025 წელს N MES 0250000879941) დაამტკიცა სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დეტალურად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეტაპობრივ შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას. პროცესში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები – დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რაც უზრუნველყოფს მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. ამასთან, უკუკავშირის მიღებისა და SWOT ანალიზის მეშვეობით გეგმები ეფუძნება საზოგადოების საჭიროებებს, რაც ასახავს მეთოდოლოგიის მონაწილეობით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე ორიენტირებულ ხასიათს. საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რის შემდეგაც ხდება მისი გასაჯაროება სკოლის ვებ გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცემა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების

საშუალება. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს რჩევა: სასურველია, სკოლამ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ პოზიცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

   სკოლას შემუშავებული აქვს 7-წლიანი ციკლური სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ. განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას სკოლას აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს.

   სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალაში იყო შეუსაბამობა, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოქმედების დრო ეწერა 2024-2031 წლები, სამეურვეო საბჭოს ოქმში 2023–2030 წლები,ხოლო სამოქმედო გეგმაში იყო ასეთი ჩანაწერი: „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2025 – 2032 წლების სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმიდან“. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს შეუსაბამობა აღმოფხვრილი დაგვხვდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში იყო ერთმანეთთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
   სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისათვის. სამოქმედო გეგმა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა 2024-2025 სასწავლო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე და სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტზე დაყრდნობით. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შემუშავებული 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის პროექტი განსახილველად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს.
   რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ დააკორექტიროს სამოქმედო გეგმა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად, ნაცვლად მანდატურისა, ასახოს უფლებამოსილი პირი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
   ბის მტკიცებულებები.

   დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე
   დირექტორის ანგარიში დანართი 2 დანართი N-8
   სასკოლო სასწავლო გეგმა, დანართი N-1
   სტრატეგიული განვითარების გეგმა, დანართი N-2
   სტრატეგული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია, დანართი N-9
   სტრატეგიულის სამუშაო ჯგუფის ოქმიN-1 დანართი N-126
   სტრატეგიულის სამუსაო ჯგუფის ოქმიN-2 დანართი N-127

სტრატეგიულის სამუსაო ჯგუფის ოქმიN-3 დანართი N-128
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ გაწერილ მექანიზმებს: სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ორჯერ, წლის ბოლოს წარადგენს შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.
   მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას აქტივობების შესრულების სტატუსზე, მტკიცებულებების წარმოდგენას, ხოლო შეფასება – ამ მონაცემების ანალიზსა და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
   ამასთან, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, პროცესის დეტალური აღწერა და ანგარიშგების ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი მიზნების მიღწევის პროგრესის სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით
   სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორგს განახორცილეებს წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს მისი

მოქმედების განმავლობაში ორჯერ, რადგან სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დაამტკიცა 2025 წლის 17 სექტემბერს (ოქმი N3), შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში პირველადი ავტორიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი ვერ შეფასდა

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და **ინდიკატორი 1.2.2.3 ვერ შეფასდა.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და **ინდიკატორი 1.2.2.4 ვერ შეფასდა**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმი დანართი N-10
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დანართი N-11
- 2025-2032 სტრატეგიული გეგმა დანართი N-2
- 2025-2026 წლიანი სამოქმედო გეგმა დანართი N-12
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი დანართიN-120
- სტრატეგიული განვითარების გეგმა, დანართი N-2
- სტრატეგული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია, დანართი N-9
- სტრატეგიულის სამუშაო ჯგუფის ოქმიN-1 დანართი N-126

- სტრატეგიულის სამუსაო ჯგუფის ოქმიN-2 დანართი N-127
- სტრატეგიულის სამუსაო ჯგუფის ოქმიN-3 დანართი N-128

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული
სსიპ- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობისა და საშტატო განრიგის შესაბამისად არსებობს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
სკოლის დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი;

ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი შტატგარეშე ერთეულები: 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ექთანი, ცეკვის წრის ხელმძღვანელი, მუშა, ცეცხლფარეში, სპეციალური საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დოკუმენტი, სადაც აღწერილია სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ორგანოგრამა (სტრუქტურის სქემა) არ ასახავდაა სკოლის სრულ მმართველობით სტრუქტურას, კერძოდ, გამოტოვებული იყო დირექციის ბლოკი. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა განახლებული ორგანოგრამა, სადაც კარგათ ჩანს სკოლის მმართველობითი სტრუქტურა. შესაბამისად,**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორცილების, მონიტორინგისა და შეფასების, გადახედვისა და რევიზიის ეტაპებს. დასაქმებულებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- ხელშეკრულებები დანართი N-13
- სკოლის სტრუქტურა ლინკი

- ორგანოგრამა დანართი N-14
- საშტატო განრიგი. დანართი N-15
- დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართი N-16
- ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები N-17
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება დანართი N-18
- სკოლის სტრუქტურული ერთეულები დანართი N-130

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად
   სკოლაში დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი'', რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ხელშეწყობა. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება ასევე სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2022 წლის 20 ოქტომბრის N5 სხდომის ოქმით), რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზე ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ პესონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თანხვედრაში მოიყვანოს პირადი საქმეები. კერძოდ, სკოლის დარაჯის და დამლაგებლების პირად საქმეში არ იყო საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

ნამაშევის საჯარო სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გადამზადების მიზნით სკოლა პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს და საკონსულტაციო შეხვედრებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ ყველა დასაქმებულს აქვს ცნობა ნასამართლეობის და ნარკოლოგიური

შემოწმების შესახებ, ხოლო 2020 წლის მაისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირად საქმეში განთავსებულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი არ ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ახალი თანამშრომლების მიღების და ვაკანსიის გამოცხადების პროცედურათა გაცნობისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევისა და აყვანის პროცესი არ შეესაბამება დაწესებულების მიერ დეკლარირებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, მოქმედ კანონმდებლობას და პერსონალის შერჩევა არ ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად.
კერძოდ, სკოლამ ბიოლოგიის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოაცხადა კონკური 3 საათზე. სკოლაში აღნიშნულ პოზიციაზე განაცხადი გააკეთა მხოლოდ ერთმა ადამიანმა, რომელიც ამავდროულად გახლდათ საქმისმწარმოებელი, ჰქონდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ბიოლოგის სპეციალობით. სკოლამ მაძიებელ მასწავლებლად გაუფორმა ხელშეკრულება 3 საათზე და აყვანის შემდეგ ხელშეკრულება გაუფორმა 9 საათზე, რითაც დაარღვია პერსონალის შერჩევისა და აყვანის პროცედურა. სკოლამ ვერ წარმოადგინა დამატებითი საათების განაწილების ობიექტური დასაბუთება ან/და შიდა კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია.
დანართი 1. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (26 იანვრის ბრძანება# 2-05.) • მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი (დანართი 4. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032). • სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები (დანართი 2. სამუშაო ჯგუფ. ხელმძღვანელის ანგარიში, • დანართი 3. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი #1 7 წლიანი და 1 წლიანის განხილვა) • პუბლიკაციები სოციალურ მედიასა და „ახალ განათლებაში“(დანართი 18. ახალი

განათლების ხელშეკრულება) • სახელის მინიჭების ბრძანებასკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს **გამოიკვეთა შემდეგი ტიპის ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის დროს დაირღვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნათა შესაბამისად ახალი მასწავლებლის აყვანის პროცედურა და წესი.**

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში ,სკოლამ მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადების ვადად განსაზღვრა 2026 წლის მარტიდან-2027 წლის მარტამდე პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული" შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია" და გასცა **რეკომენდაცია**:

„შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (2026 წლის მარტი-2026 წლის სექტემბერი)უზრუნველყოს მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნათა შესაბამისად

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

   სკოლაში დასაქმებულია 38 თანამშრომელი. აქედან 25 მასწავლებელი, მათ შორის წამყვანი და უფროსი სტატუსის. ვიზიტის მიმდინარეობისას, განხილულ იქნა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) პერსონალის, მათ შორის, პედაგოგების მონაცემები. გარდა ამისა, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი ტიპის ხარვეზი: სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი იყო არასრული, რაც არ იძლეოდა პერსონალის კომპეტენციის სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას, არ იყო გათვალისწინებული ცეკვის წრის მასწავლებლის და მუშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი(27.03.2026 წელი) ,სადაც გათვალისწინებულია ცეკვის წრის ხელმძღვანელის და მუშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს
   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა. მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას გამოიკვეთა მონაწილოებითი და გუნდური მუშაობის პრაქტიკა სკოლაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმი. ადამიანურის რესურსების

მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს წახალისების მექანიზმებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევას, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძვლზე წარმართავს შემდგომ საქმიანობას. კერძოდ, ხდება თანამშრომელთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სკოლის ბაზაზე, ან დამატებით ტრენინგებში მონაწილეობა. ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევის მონაცემების საფუძვლეზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების კარგი პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკა
ტორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი დანართიN-20
- შინაგანაწესი დანართი N-19
- მესენჯერ-ჯგუფები ლინკი
- ბრძანებები ვაკანსიის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ დანართი N-21
- ოქმები #1 დანართი N-22
- ოქმები #2 დანართი N-23
- ოქმები #3. დანართი N-24
- სკოლის ორგანოგრამა; დანართი N-14
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; დანართი N-25
- საშტატო განრიგი; დანართი N-15
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები; 1 დანართი N-21

- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები; დანართი N-26
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი; დანართი N-24
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებები; დანართი N-13
- eschool ბაზის მონაცემები.

შ
ე
ფ
ა
ს
ე
ბ
ა
:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

   სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა „თანამშრომელთა პორიფესიულ და კარიერულ განვითარებას“, სადაც გაწერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

   სსიპ -ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

   სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები; სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს დასაქმებულ პირთა შეფასებას. სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს სჭირდებათ დამატებითი დახმარება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, მოსწავლეთა მიღწევათა დიაგნოსტირების, კონსტრუქტივიზმის პრინციპების, 21-ე საუკუნის ფუნქციური უნარების, ესგ-ით განსაზღვრული პრიორიტეტული თემების და ინკლუზია/ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დაწინაურების საშუალება. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ, მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის

საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, რომელშიც გაწერილია ყველა ის აქტივობა, რომელსაც ახორციელებს სკოლა მათი ადაპტაციისთვის. პირველ რიგში, ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო კულტურას, გარემოს, იმ დაწერილ და დაუწერელ წესებს, რომლებიც მოქმედებს სკოლაში, შემდგომ ხდება, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა და სკოლის თუ კათედრების დახურულ ჯგუფებში გაწევრიანება. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კათედრების, დირექციისა და ადმინისტრაციის როლებსა და ფუნქცია-მოვალეობებზე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- შესყიდვების დოკუმენტაცია დანართი N-27
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დანართი N-12
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; დანართი N-25
- სკოლის შინაგანაწესი; დანართი N-19
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება დანართი N-18
- მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი. დანართი N-28

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს
   სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება. განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მისი ვალდებულებები, აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შეფასება.
   რჩევა: ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი/პოზიცია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები
   სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობით პროცესში მოიაზრება: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა.
   სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. ხოლო დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. ასევე განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება (06/08/2025 წელი). სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი ითვალისწინებს დასაქმებულთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომების განხილვას სკოლის დირექტორისათვის მიმართვის პროცედურით. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექტორის .N954814 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი, სადაც თავი IV, მუხლი 11 ეთმობა მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს N954811 ბრძანებით. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.

თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას__შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და

ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დანართი N-18
- ხარისხის უზრურველყოფის პოლიტიკა დანართი N-29
- ვებგვერდი გასაჩივრების მექანიზმები -იხ. ბმული
- საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი დანართი N-30
- სკოლის შინაგანაწესი; N-19
- სასკოლო სასწავლო გეგმა; დანართი N-1
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი; დანართი N-31
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; დანართი N-25
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი; დანართი N-30
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; დანართი N-32
- კურიკულუმის მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება დანართი N-33
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; დანართი N-9
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი; დანართი N-34

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს ვებგვერდი, სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და მშობელთა კრების ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი; დანართი N-36
- სამეურვეო საბჭოს ოქმი; #1 დანართი N-37
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 დანართი N-38
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 დანართი N-11 • სამეურვეო საბჭოს ოქმი #4 დანართი N-39
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #5 დანართი N-40
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #6 დანართი N-41
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი; დანართი N-31
- სკოლის ფეისბუქგვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და განსაზღვრული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები:
ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
ბ)სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.
სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა და გასვლა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში რეგისტრაციით. სკოლის პერიმეტრი შემოღობილია, დაცულია უცხო პირთა გადადგილებისაგან 24 საათის მანძილზე, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი. სკოლის პერიმეტრი კონტროლდება 7 ვიდეო-კამერის მეშვეობით.
დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია **მრჩეველთა საბჭო,** რომელიც რეგულარულად განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებს. სკოლაში არის **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩადენის ფაქტზე ინფორმაციის**

მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არის **ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დამტკიცების ბრძანება N1/3-10 8.06.2017 წელი).**

- სკოლის ეზოში არის დამხმარე შენობა-ნაგებობა, რომელიც არის სავალალო მდგომარეობაში, მისი სახურავი და კედლები ჩამოშლილია. **სკოლამ მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს** აღნიშნული შენობის დემონტაჟის მოთხოვნით. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით მტკიცებულებად წარმოადგინა ფოტოსურათები, სადაც ჩანს, რომ სკოლამ დემონტაჟის განხორციელებამდე ნაგებობა შემოღობა მავთულ-ხლართებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა აღნიშნული გარემოება.**

- **სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არ ჰქონდა შეთანხმებული მის მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ მიმართა** შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების მოთხოვნით(03/04/2026 MES4260000403103).სკოლა ამ ეტაპზე ელოდება პასუხს შესაბამისი უწყებიდან.სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი.

- **სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი წინადადებების მომზადების თაობაზე(2.04.2026 წელი). სკოლაში ორივე სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა.**
- **სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ (04. 03.2026 წელს) მიმართა შესაბამის უწყებას სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შემოწმების განხორციელების თაობაზე.**

სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:

- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი) წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა .**
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი) სკოლამ წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა: სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს/ დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის ექთნის კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექთნის კაბინეტი ნაწილობრივ აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით, თუმცა არ არის კომპიუტერი, დეზობარიერი, არ იკეტება წამლების კარადა. ექთანთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ იგი ახორციელებს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას. მოსწავლის მიმართვის შემთხვევაში, ექთანი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას და ინფორმაციას აწვდის მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს დამრიგებლის დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა დადასტურდა მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც.

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი სახის ხარვეზი:

- სკოლაში არ ხდებოდა დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა. სკოლა არ სარგებლობდა გაწეული სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმებით.
- სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ იყო აღჭურვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ის შესაბამისად, არ იყო ხელსაბანი, კომპიუტერი და არ იკეტებოდა წამლების კარადა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო დახარჯული მედიკამენტების, სამედიცინო მასალების და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმები. სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01- 41/ნ-ის შესაბამისად. ექიმის კაბინეტში დამონტაჟდა ხელსაბანი და წამლების კარადა, რომელიც იკეტება. კაბინეტისთვის კომპიუტერის მოთხოვნის მიზნით სკოლამ მიმართა სსიპ-ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს(MES 1 26 0000166258).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური საკითხები. სკოლას ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის ბრძანება N2-09 18.09.2019 წელი), სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება დარაჯის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების

გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია თემები: პიროვნული და მორალური განვითარება, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია და სკოლაში განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. რისთვისაც შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში გაწერილია მუხლი 9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები).
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სკოლის შენობის პირველ სართულზე არის გამიჯნული სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები

უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების“ შესაბამისად. აღნიშნული წესი და მექნიზმები მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის ფორმა (MES 7 25 0001039174 29.08.2025 წელი) სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლას დანიშნული ჰყავს ბრძანებით დატკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (21.03.2025 წელი MES 6 25 0000316194), რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე უწევს სკოლებს მხარდაჭერას. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები
სკოლას აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და აღრიცხვის დოკუმენტი. გაწერილია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ფორმები, სკოლის ვალდებულებაა უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა

შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის, რაზეც საუბარია სკოლის დირექტორის ანგარიშში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- მოსწავლის დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება დანართი N-45
- პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება დანართი N-46
- პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის დოკუმენტი დანართი N-121
- პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ დანართი N-47
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება; დანართი N-48
- ექთანთან გაფორმებული ხელშკრულება; დანართი N-49
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესის დამტკიცების ბრძანება. დანართი N-50

- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოება დანართი N-114
- სამედიცინოდახმარების წესი დანართი N-123

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სოფელ ნამაშევის სკოლას აქვს 6545 მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით 1-ელი და მე-2 სართულის საერთო ფართი 1131,6 კვ.მ. სკოლის ეზოში არის მეორე შენობა-ნაგებობა 27,0 კვ.მ. სკოლაში განთავსებულია კიდევ ერთი ნაგებობა, რომელიც არის ამორტიზებული და საფრთხის შემცველი.

სკოლაში არის საკლასო ოთახები (სულ 12), ადმინისტრაციული სივრცეები, ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, სპორტული დარბაზი, გარე მოედანი, რომელიც გამოიყენება როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე აქტივობებისათვის. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით (მერხები, დაფები, მონიტორები) და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს. სკოლის პირველ სართულზე არის სველი წერტილები, ექთნის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, რესურ-სოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საქმისწარმოების ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსები სრულად არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, კერძოდ სკოლას არ აქვს ბუნებისმეტყველების ლაბორატორია. ლაბორატორიის არარსებობა გარკვეულწილად ზღუდავს მოსწავლეთა შესაძლებლობას, პრაქტიკულად განახორციელონ კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობები, თუმცა საკლასო ოთახში არსებულ მონიტორებზე ნახულობენ სხვადასხვა ცდებს და ექსპერიმენტებს. სარგებლობენ ონლაინ ლაბორატორიებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად მიუთითა 02.01.2026-02.01.2027 წლები.

სკოლის შენობაში, პირველ სართულზე განთავსებულია საბავშო ბაღი. აღნიშნული ფართი (134,3 კვ.მ) სკოლამ 26.12.2013 წელს გადასცა ხონის პუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით განსაზღვრულია (დირექტორის - ბრძანებით N 22822) სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი როგორ გამოიყენონ მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისა და დასვენებისათვის. სკოლაში არის საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა,

რომელშიც არის სამკითხველო სივრცე. სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი (რესურსოთახი) და სამასწავლებლო. სკოლას შემუშავებული აქვს საზიარო სივრცეებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესებსა და პირობებს .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა/დამუშავების, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობის საკითხები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. წიგნები აღრიცხული და გატარებულია ჟურნალში.

სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. თუმცა, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ეს წესი პრაქტიკაში სრულყოფილად არ სრულდება: ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ნაწილი დამუშავებული არ არის. არ არის განლაგებული ანბანური თანმიმდევრობისა და ჟანრობრივი მახასიათებლების მიხედვით.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ბიბლიოთეკის წესისა და დებულების შესაბამისად აღრიცხული და დამუშავებული წიგნების ამსახველი ფოტო-მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა პრინტერითა და კომპიუტერით, რათა ხელი შეეწყოს საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

   სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე. სკოლის შენობა არის ორსართულიანი.

   სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებუილი სველი წერტილი და შიდა პანდუსი მე-2 სართულზე არსებული სივრცეებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად. ინფრასტრუქტურა არ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის სრულფასოვნად ჩართულობას სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ უზრუნველყო საპირფარეშოს ადაპტირება და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ფოტო-სურათები.

   სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (**2026 წლის მარტი-2027 წლის მარტი**) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის.

   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

   5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის სივრცეში არის სარეკრეაციო ზონები და თავისუფალი სივრცეები სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის ეზო და ფართო და ნათელი დერეფანი მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
   ბის მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დანართი N-3

- სკოლის შენობის ნახაზი დანართი N-51
- მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაცია დანართი N-52
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი დანართი N-53
- ინვენტარიზაციის შედეგები; დანართი N-54
- ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის ბრძანება დანართი N-115
- ინსპექტირების ჯგუფის შექმნის ბრძანება დანართი N-116
- წერილობითი მიმართვა რესურსცენტრთან დანართი N-55

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

   სსიპ -ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არ არის ბოლომდე გამართული, სკოლას აქვს უწყვეტი ინტერნეტი, თუმცა ხშირია კაბელის დაზიანების ფაქტი და შეზღუდულია ინტერნეტით სარგებლობა. WiFi სისტემა უზრუნველყოფს სკოლის შენობის ინტერნეტით დაფარვას. მასწავლებლები სარგებლობენ სკოლისა და პირადი ლეპტოპებით, ისტ. ლაბორატორიაში არის 4 კომპიუტერი, აქედან 2 არის ძალიან ძველი ვერსია და ყოველთვის არ ირთვება. აქვთ 1 პროექტორი. მოსწავლეები წყვილებში სხდებიან და ისე სარგებლობენ კომპიუტერებით. ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია სმარტ-ტელევიზორები (13 ტელევიზორი) რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ონლაინრესურსები ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთათვის და უზრუნველყოს კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსებისთვის შესაბამის საგანმანათლებლო აპლიკაციები.

   სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL, რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

   რჩევა: სასურველია, სკოლამ აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორია ახალი კომპიუტერებით, რადგან ხელი არ შეეშალოს ეროვნული სასაწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამებით სწავლებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სკოლას აქვს დირექტორის N1135522 ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

რჩევა: სასურველია, სკოლამ კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოაკრას ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - ბრძანება დანართი N-56
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები); დანართი N-27
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები). • კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი დანართი N-57

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის N 892927 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. საქმისწარმოების ინსტრუქციები შემუშავებულია ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. იგი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს, ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საქმისწარმოების წესი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის მიერ გამოცემული აქტების, კორესპონდენციის, აღრიცხვის პროცედურები. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით ასევე განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ

კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის კანცელარიაში არსებული დოკუმენტაციის მატერიალური და ელექტრონული წარმოება და დადგინდა, რომ სკოლა იცავს საქმისწარმოების წესებს. სკოლა იყენებს ელექტრონულ სისტემებს (Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი). საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულ სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. სკოლაში eSchool-ის სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საკომუნიკაციოდ. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები (ანბანური წიგნი, ბრძანებების წიგნი, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი)დანომრილია, დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია. ვიზიტის დროს დადასტურდა სკოლის მიერ თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა სკოლა საქმისწარმოებისთვის იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow - ს. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემაც, რომელშიც შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. საქმისწარმოების პროცესში სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სამსახურებრივ ელფოსტას. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eFlow-სა და eSchool-ის ელექტრონულ სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
   სსიპ -ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლეზე, ასევე გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან
   სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. თანამშრომლობს ხონის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევის, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება) დანართი N-58
- საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი დანართი N-125
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით
   სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი, რომელშიც ინფორმირებისა და კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტებად განსაზღვრულია ელექტრონული ფოსტა და ფეისბუქის გვერდი. აღნიშნული არხებით სკოლა პერიოდულად ავრცელებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ. მასწავლებლებმა ინტერვიუში დაადასტურეს, რომ თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მსგავსი ჯგუფები მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც. აღნიშნული ჯგუფებით ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანობა დაადასტურეს მშობლებმაც. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს განცხადებების დაფას სკოლის სივრცეში და სატელეფონო კომუნიკაციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც ისინი ეცნობიან ინფორმაციებს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენის

შესახებ. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდიც, რომელზეც განთავსებული აქვს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სკოლის სხვადასხვა დოკუმენტს. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

   სკოლის ვებგვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალები და ინფორმაცია კონკურსებში მონაწილეობის შესახებ. ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

   სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონული ჟურნალებს; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებს; ტელეფონს და საინფორმაციო დაფას. სოციალურ ქსელში მასწავლებლებს შექმნილი აქვთ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით დახურული ჯგუფები ან ჩათები, რომლის საშუალებითაც მუდმივად აწვდიან ონფორმაციას სასწავლო პროცესში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ. სკოლის ვებგვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე შესაძლებელია ფეისბუქგვერდზე მიწერა.

   სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, ორგანოგრამა, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სკოლის მიერ განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. საფეხურის დაძლევის პირობები. შეთავაზებული სერვისები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის შინაგანაწესი და განცხადებისა და საჩივრების წარდგენის წესი. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, სკოლას ატვირთული არ აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდზე შესაბამისი გვერდი
- ფეისბუქგვერდი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლისთვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდან არ აქვს არანაირი შემოსავალი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესასრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა სკოლის დირექტორსა და ბუღალტერათან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ინფორმაციას, 6 თვეში ერთხელ ფინანსურ ბალანსს ტვირთავს ხელშეკრულებებს SMR-ში, შესყიდვების გეგმას კი - ePLAN მოდულში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- 2026 წლის ბიუჯეტი
- 2025 წლის ბიუჯეტი
- ბრძანება (2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ

- 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვებისწლიური გეგმის დამტკიცების შესახებ
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; (დირექტორის ანგარიში)
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;
- შესყიდვების განხორციელების წესი

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის 20 ოქტომბრის N5 სხდომის ოქმით). აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირებულია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების

ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დიციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (01.09.2023 წელი ბრძანება N 6-15) „მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი“.

მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობა (მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ).

მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, თითოეული მათგანი დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალგადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. სკოლას შემუშავებული აქვს ადაპტაციის წესი, სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საუბრითაც. თითოეული მათგანი აღნიშნავს, რომ ახალ გარემოსთან შეგუება გაუადვილა სასკოლო საზოგადოებამ (დირექციამ, მასწავლებლებმა და ბავშვებმა). სკოლის თითოეული მოსწავლისათვის განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიღებული აქვს ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი - „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“.

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, არსებობს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი (N954814 ბრძანება). სასკოლო საზოგადოება იცნობს და იცავს წესს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციას“, რომელიც შემუშავებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებულიმ უფლებების დასაცავად (05.09.2024 წელი N 6-30).

დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (16.09.2025 წელი ბრძანება N 6-48) დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები;

სკოლაში დირექტრის ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“ (2025 წლის 1 აპრილის N-360429 ბრძანებით). სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა მოსწავლეთა უფლებების დაცვას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან
   დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, გაზიარებულია სკოლის ფეისბუქგვერდზე, გამოკრულია ფოიეში.

   მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ.: კონკრეტული იდეის ინიციირების, გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება მოსწავლეთა მშობლებთან დადებულია ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, სწავლის ღირებულება და ანაზღაურების პირობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- გასაჩივრების პროცედურები
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება
- სადამრიგებლო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი , რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ამ გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია.
   საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს
   სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით

დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

   დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლებამოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

   სკოლის ვებგვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადმოსვლა)
- ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევა
- ბრძანება მოსწავლის I კლასში ჩარიცხვა
- ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერება
- სამსახურეობრივი ბარათები 1
- სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი;
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;
- ბრძანება საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლის, მობილობის წესით გადმოსული და ეროვნებით არაქართველი მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (2025 წლის 12 ივნისის N-658846 ბრძანება.), სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. მუხლი 7-ის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს, რა დროსაც სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. ეწყობა გასვლითი აქტივობა ან სკოლის ეზოში საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა სახალისო აქტივობების მეშვეობით მოსწავლეთა დაახლოება.
   სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზაობის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

   მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახალ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას

მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან საუბრისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ახალგადმოსული მოსწავლისათვის შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო. ისინი ძალიან მალე თავს სასკოლო კულტურის ნაწილად თვლიან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - (2025 წლის 12 ივნისის N-658846 ბრძანება.). ახალი მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დირექციის, მასწავლებლისა და დამრიგებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს; სკოლა უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (დარბაზი, კაბინეტები, ეზო, სპორტდარბაზი და ა.შ).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამისთვის შემუშავებული აქვთ რემედიაციის წესი.

მშობლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტაციებს/დამატებით მეცადიენობას, რისთვისაც სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა მხარდაჭერის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების ღონისძიებებს. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.
   სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს დადგინდა, სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ

მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურსოთახში. გრაფიკი შედგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

   სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო, საწრეო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა ჩართულობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაის მიმართულებით.

   დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N-22826 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი დიკუმენტი. მოსწავლეს ან მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას კლასის დამრიგებელს დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში.

   მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მხარდაჭერილი და წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეთა ინიციატივით დაარსდა კლუბი „ლოგოსი“ და კინოკლუბი. ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები.

   სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის წრეს და კლუბს, ესენია: ცეკვის შემსწავლელთა წრე, ხელოვნების წრე. სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლა უკუკავშირის გათვალისწინებით განსაზღვრავს ინტერვენციებს. უკუკავშირი ძირითადად ხდება ზეპირსიტყვიერი გზით, პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე, კლასის საათზე.

   რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი, რომლის მეშვეობით დაადგენს საჭიროებებს, ძილერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
   ბის მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.
- კლუბის დოკუმენტაციაა
- 30 წლის იუბილის დებულება
- კინო-კლუბის დოკუმენტაცია
- ტრანზიციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას, თვითშეფასებასა და მომავალი პროფესიული გზის განსაზღვრას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის უნივერსიტეტთან.მოსწავლეები პედაგოგებისა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით სტუმრობენ სხვადასხვა კოლეჯებს, სკოლაში მოდიან კადეტთა ლიცეუმის და სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით
სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში კლასის დამრიგებლები და თვითმმართველობის წევრები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლაში ხშრად იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

   დოკუმენტაციის შესწავლისა და დირექციასთან და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში არ გამოიყენება კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მიზნობრივ გამოყენებას. ფიქსირდება მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა ინიციატივის საფუძველზე მოწვეული იქნა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. აღნიშნული პრაქტიკა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ვერ მიიჩნევა სისტემურ მიდგომად, რომელიც უზრუნველყოფდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის გეგმიურობასა და შედეგებზე ორიენტირებას.

   რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მუდმივი მექანიზმი, რათა მოსწავლეებს მათ ინტერესებზე მორგებული დახმარება გაუწიოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- დამრიგებლის ანგარიში
- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მემორანდუმი;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი
   2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე. სკოლაში დირექტორის (ბრძანება NMES325 0001713333 02.12.2025 წელი) დამტკიცებულია ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების ჯგუფი. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი (ბრძანება N2-09), რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს რესურსოთახი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. სკოლას ჰყავდა 1 სპეც. მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება შიდა მონიტორინგის წესის შესაბამისად.
   სკოლაში აღნიშნული დოკუმენტაციით დასტურდება მოსწავლეთა სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ისგ ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები, არსებობს შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით შექმნილი ჯგუფის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

   სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები.სკოლაში ასევე არსებობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

   სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება(მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
   ბის მტკიცებულებები.

- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნა დანართი N-74
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დანართი N-75
- დანართი 1 დანართი N-77

- დანართი 2 დანართი N-78
- შიდა მონიტორინგის ბრძანება დანართი N-117
- გაკვეთილზე შესვლისთვისა და რესურსოთახში მუშაობისთვის გაწერილი განრიგი
- მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნა დანართი N-76
- შიდა მონიტორინგის გუნდის დასკვნა დანართი N-79

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)
მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი
მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
   სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი ლოგოსი და კინოკლუბი. არის ხელოვნების წრე და ცეკვის წრე. მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით. სკოლაში თვითთმართველობის ინიციატივით და მასწავლებელთა ფასილიტაციით შეიქმნა კლუბი „ლოგოსი“ და კინოკლუბი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს
   სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო სკოლა უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექთანი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   - კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკ ატორების მტკიცებულებები
   - მძღოლის ტაბელი
   - შინაგანაწესი

- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და მოიცავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებს. პროცესში ჩართულია სკოლის მართვისა და პროფესიული სტრუქტურები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ხედვის გათვალისწინებას. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების კოორდინაციას, მეთოდოლოგიური მიდგომების განხილვას, გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას. კათედრები ასევე მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავებაში, დანერგვასა და რევიზიაში. აღნიშნული მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სკოლის შიდა პროფესიული საზოგადოების ხედვები და პრაქტიკული გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, რაც მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ და მოქალაქეობრივ კომპეტენციებს. კურიკულუმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, თანამშრომლობასა და კომუნიკაციას, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები) ინტერესების ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესში. ამასთანავე, სკოლის ღირებულებებში ხაზგასმულია თანამშრომლობა, გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა, რაც ქმნის წინაპირობას სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რაც მიუთითებს პროცესში სხვადასხვა სტრუქტურის ჩართულობაზე. კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სწავლასწავლების დაგეგმვაზე, კურიკულუმის დანერგვასა და შეფასებაზე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა სისტემური ჩართულობის (მაგ., კითხვარების, ფოკუსჯგუფების ან სხვა ინსტრუმენტების) ფორმალიზებული მექანიზმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის პრინციპს, რაც გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სკოლის საქმიანობის შესახებ. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კურიკულუმის გაცნობა ხორციელდება მშობელთა კრებებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება კურიკულუმის გაზიარების პროცესის სისტემური დოკუმენტირება (მაგ., შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცების და შეთანხმების ჩანაწერები)
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- საგნობრივი კათედრების ფუნქციების აღწერა

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმებში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, შუალედურ მიზნებად განსაზღვრული შემოქმედებითი ტიპის დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით. კურიკულუმი, შემოქმედებითი აქტივობების დახმარებით, ხელს უწყობს მოსწავლეს გამოიყენოს უცხო ენის ცოდნა პრაქტიკული მიზნებისთვის, მისთვის ნაცნობ სიტუაციებში. კურიკულუმი დაგეგმილია უცხო ენის სტანდარტის სასწავლო თემებისა და შინაარსის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში მოცემული თემები, საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში

	ჩართულობის, შემოქმედებითი უნარების განვითარების შესაძლებლობას, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სასწავლო პროცესის წარმმართველ ძალას და აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნის კონსტრუირება. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილია სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები I-XII კლასებისათვის. დოკუმენტები ასახავს სასწავლო თემებს, სამიზნე ცნებებსა და დასამუშავებელ ტექსტებს, რაც იძლევა წარმოდგენას სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ. კურიკულუმში გარკვეულწილად განსაზღვრულია თემატური ერთეულების ფარგლებში განსახილველი საკითხები, რაც ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა კლასში თემატური ერთეულების მოცულობა და სტრუქტურა განსხვავებულია. მაგალითად, VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ არის აღწერილი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტები ქმნის საფუძველს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში, თემატური ერთეულების ფარგლებში, უფრო თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი დავალებების სისტემა ყველა კლასისთვის, რაც უკეთ გამოკვეთს სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

	სასურველია, სკოლის დასახელება მითითებული იყოს ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას – თითოეული თემა, აქტივობა და დავალება გათვლილია მოსწავლის უნარების, ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებებსა და ციფრულ საჭიროებებზე. სწავლება ხდება ინტერაქციული, პრაქტიკულ და ღია რესურსებზე დაყრდნობით, რაც აღვივებს მოტივაციას, ხელს უწყობს ციფრული კომპეტენციების განვითარებასა და ამყარებს კავშირს რეალურ სამყაროსთან.

	მე-3 კლასში მითითებულია სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება“ ნაცვლად „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპებისა“ (მოქმედი საგნობრივი სტანდარტი). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, გადაიხედოს საგნობრივი კურიკულუმი და თითოეული სამიზნე ცნება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან; • დაფარული იქნას სამიზნე ცნებების შესაბამისი ყველა საკითხი სასწავლო თემებისათვის თემატური ჩარჩოდან (იხ. კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტი); ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას. კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.
	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო ყველა საგნის (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კურიკულუმში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუ და მათ მიერ აღწერილი აქტივობები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესში, აუმაღლოს მათ თვითეფექტურობა და გაზარდოს მათი შინაგანი მოტივაცია. გარდა ამისა, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა:

	სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ის რაოდენობა, რომელთა განხორციელება რეალურადაა შესაძლებელი

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; მაგ., მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“, ასევე, XI და XII კლასების ისტორიის კურიკულუმებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“. • სასურველია, სამიზნე ცნებებისა და თემების სახელწოდებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; მაგ., მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეცდომით არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები: „სოციალიზაცია“ და „ინიციატივა და მეწარმეობა“. საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მოქმედ სტანდარტში აღნიშნული ცნებები არ არის წარმოდგენილი. ასევე, XII კლასის ისტორიისა

	და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში თემები არ ემთხვევა მოქმედი სტანდარტით წარმოდგენილ სავალდებულო თემებს. მოცემული თემები დასაზუსტებელია და გადასატანია ქვეთემებად. • სასურველია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება;

	მაგ., ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების გასწვრივ წარმოდგენილია საკითხთა ჩამონათვალი. რთულია განვსაზღვროთ, რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით მუშავდება. • სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში, მაგ., ყველა კურიკულუმში წარმოდგენილია იმ რაოდენობის შემოქმედებითი ტიპის დავალება, რის განხორციელებაც დროში შეუძლებელია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო წლის კურიკულუმებში ეს საკითხი გადაიხედება და გაწერენ მხოლოდ იმ რაოდენობის შემოქმედებითი ტიპის დავალებას, რის განხორციელებასაც რეალურად შეძლებენ. • სასურველია, თითოეულ ცნებასთან მიმართებაში დაზუსტეს ქვეცნებები; არცერთი კლასისა და საგნის კურიკულუმში არ არის დაზუსტებული ქვეცნებები. • სასურველია, კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება; • სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება და ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; მაგ., მოქალაქეობის არცერთი კლასისა და საგნის კურიკულუმში არ არის მითითებული ძირითადი რესურსი-სახელმძღვანელო. • სასურველია, საგანში „პროექტული სწავლება მოქალაქეობაში“ კათედრაზე დაიგეგმოს სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე ტიპის პროექტი. მაგ.,

	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად ვხვდებით საინფორმაციო ტიპის პროექტებს, დაგეგმვის დროს ასევე უნდა გაიწეროს და განხორციელდეს საქველმოქმედო, ინფრასტრუქტურული და ადვოკატირების ტიპის პროექტები.

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენის სტანდარტის გრძელვადიან მიზნებს. უცხო ენის სტანდარტის საფეხურის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მისაღწევი შედეგები განვრცობილი არ არის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, სკოლამ გრძელვადიანი მიზნების ზოგად ჭრილში მითითებასთან ერთად, დააკონკრეტოს რომელ ქვეცნებასა და კონრეტული საფუხურის რომელი შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის შემოქმედებითი აქტივობა (შუალედური მიზანი). • ასევე, სასურველია, შეასწორონ სამიზნე ცნებები პირველ - მეოთხე კლასებში და საბაზო საფეხურის მეშვიდე-მერვე კლასებში და მოარგონ კონკრეტული საფეხურის გრძელვადიან მიზნებს.

ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები, თემატურ კონტექსტებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება მოსწავლეში საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული შედეგები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში თემატური ერთეულები და დასამუშავებელი ტექსტები შერჩეულია ისე, რომ ხელი შეუწყოს აღნიშნული ცნებების გააზრებას და შესაბამისი შედეგების მიღწევას. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია თემები და საკითხები, რომლებიც ქმნის საფუძველს სამიზნე ცნებების ეტაპობრივი დამუშავებისა და მოსწავლეთა მიერ შესაბამისი ცოდნის კონსტრუირებისათვის. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ თემატური

	ერთეულები უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ამასთან, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში (X-XII კლასები) თემებისა და საკითხების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, რის გამოც თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები ნაკლებად არის გამოკვეთილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია თემატური ერთეულების ფარგლებში საკითხების უფრო მკაფიოდ დიფერენცირება საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები), რათა თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების სტრუქტურა ნათლად გამოიკვეთოს.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ შეარჩიონ და განახორციელონ შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს ციფრული კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. მიზნები გათვლილია მოსწავლეების ასაკობრივ დონეზე და ასახავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს. მიუხედავად მცირე დიფერენცირებისა ზოგიერთ სამიზნე ცნებაში, კურიკულუმი უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამის სწავლების ხარისხს და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის (I-IV) სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან. მათში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმებით დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება,

	კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა. სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რჩევა და სრულყო კურიკულუმები. მაგ.: I კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმში გამორჩენილი იყო ცნება ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“, თუმცა, ამავე კურიკულუმით დასტურდებოდა, რომ ის მუშავდებოდა შესაბამისი აქტივობებით დავლების ფარგლებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, გადაიხედოს კურიკულუმების ჩარჩო თითოეულ საგანში, მიეთითოს მათში სკოლის სრული სახელწოდება, ზოგიერთ შემთხვევაში თემების მიხედვით დაკონკრეტდეს საათობრივი დატვირთვა. • სასურველია, მათემატიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლის განხორციელებაც იქნება რეალურად შესაძლებელი.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია სასწავლო მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ

	მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, ონლაინ ლაბორატორიებს, რასაც ხელს უწყობს კლასებში დამონტაჟებული მონიტორები, რომელსაც კომპიუტერით უკავშირდებიან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოყენებული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	კურიკულუმის მიზნების მისაღწევად, სკოლა იეყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითად რესურსს. კურიკულუმში ასევე წარმოდგენილია დამატებითი ელექტრონული რესურსები, ვიდეო ლინკები, რომლებიც შეესაბამება თემატურ ბლოკებს და შემოქმედებით აქტივობებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, რომ დამატებითი ელექტორნული რესურსების ენობრივი დონე შეესაბამებოდეს მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს, რათა კონკრეტული ვიდეო რესური მოსაწვლისთვის

	ადვილად გასაგები და აღსაქმელი იყოს. შესაბამისად, სკოლამ დამატებითი ვიდეო რესურსების შერჩევის დროს უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის რეალური ენობრივი კომპეტენცია.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასწავლოსაგანმანათლებლო რესურსი (ტელესკოლა, სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო რესურსი) პასუხობს სასწავლო მიზნებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული რესურსი, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ძირითად რესურსად მითითებულია სახელმძღვანელო. გამოკვეთილია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ზოგიერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, გარდა სახელმძღვანელოს მასალისა, მითითებულია დამხმარე რესურსები კონტექსტმაგალითების, დამატებითი ტექსტების, საკითხზე მუშაობისათვის საჭირო ვიდეობმულების სახით. აღნიშნული რესურსები დაკავშირებულია სასწავლო თემებთან და გამოიყენება ქვესაკითხების უკეთ გააზრებისათვის. აღნიშნული რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი მჭიდრო კავშირშია თემატურ ერთეულებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. Scratch -ის გამოყენება განაპირობებს მოსწავლეების ალგორითმული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. რესურსები ადაპტირებულია ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ პირისთვის (ამ ეტაპზე სკოლას ერთი მოსწავლე ჰყავს) წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე პროცესის, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია ადაპტირებული აქტივობები და მათი განხორციელების პროცესი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების და მთლიანად საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის და რამდენად ქმნის თითოეული მოსწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს ინკლუზიური განათლების მიდგომები საჭიროების შემთხვევაში. ავტორიზაციის მომენტისთვის სკოლას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე მოსწავლე. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომებს, როგორც ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, აქტივობების, დავალებებისა და სასწავლო თემების მოდიფიცირების გზით, რაც ასევე იკვეთება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან.. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (კურიკულუმში შერჩეული თემები, საკითხები და შემოქმედებითი დავალებები) ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში თავისი შესაძლებლობების და ინტერესების მიხედვით, სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს, მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების და აქტივობების გამოყენებით. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, კათედრამ კიდევ უფრო გააღრმავოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, ისე შეიმუშავოს დავალების პირობა, რომ მოსწავლეებს მისცეს სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის, სამიზნე ცნების დამუშავების, მოსწავლის საბოლოო პროდუქტზე მუშაობის პროცესში.

სახელმწიფო ენა	კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია დავალებების იდეები, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს განსხვავებული სწავლების ფორმები. სწავლების დაგეგმვისას მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესები და შესაძლებლობები. სასწავლო პროცესში გამოყენებული დავალებები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით გამოხატონ საკუთარი აზრი და იმუშაონ ტექსტებზე სხვადასხვა გზით. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ კურიკულუმი ქმნის პირობებს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას სამივე საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები.

	სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებას. ამ მიდგომის საშუალებით სწავლება ხდება მორგებული სხვადასხვა უნარებსა და განვითარების დონეს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და წარმატებას. დიფერენცირება აისახება საგანმანათლებლო მეთოდებსა და აქტივობებში, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ და წყვილებში მუშაობას. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე (დაწყებით

	საფეხურზე), თუმცა მასწავლებელს აქვს მაღალი მზაობა ჩართოს მოსწავლე სასწავლო აქტივობებში, მოახდინოს პროცესის, პროდუქტისა თუ შინაარსის დიფერენცირება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა დამაკმაყოფილებელ დონეზე უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, სკოლას I-IV კლასებში ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა, მოხდა ერთი მოსწავლის შეფასება, რომლის პასუხის მოლოდინშიც არის სკოლა. სტატუსის მინიჭების შემთხვევაში მათ მოუწევთ ისგ გეგმების შედგენა, რომლის გამოცდილებაც აქვთ სკოლის პედაგოგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ისე ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას და ყველა მოსწავლის მხარდაჭერას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ შეფასების მასალების გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტრებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასება გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). • სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები. • სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე.

	• სასურველია, შეფასების სქემები შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

უცხოური ენები	სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებითაც სკოლა აფასებს კურიუკულუმით გათვალისწინებულ შემოქმედებით დავალებებს. წარმოდგენილი რუბრიკები ორიენტირებულია სტანდარტის სამიზნე ცნებებისა და მისაღწევი შედეგების შეფასებაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ამოიკითხება, თუ რომელი თემა, საკითხი, სამიზნე ცნება მუშავდება სასწავლო პროცესში. ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მიზნების დანერგვაზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დააზუსტოს - რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს - რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა - რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა მოიცავს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება

	მოსწავლეთა სწავლის პროცესის მხარდასაჭერად და მათი პროგრესის გასაანალიზებლად. განმსაზღვრელი შეფასება ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს სასწავლო პროცესის კონკრეტულ ეტაპებზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსწავლეთა სასწავლო მიღწევების შეფასების შესახებ. დაწყებით საფეხურის (I-VI კლასები) რუბრიკები დეტალურად ასახავს შეფასების კრიტერიუმებსა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მიდგომებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები) წარმოდგენილი რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად იკვეთება მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და დავალების შესრულების ინდიკატორებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი, ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება დაწყებით საფეხურზე V კლასში მეორე სემესტრში და VI კლასში), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ

	გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, სამივე საფეხურის შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით (V; VII; XI კლასები). • სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის (VII, XI კლასების) შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც, ძირითადად, შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტთან, მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ; აღწერს როგორც მასწავლებლის მოლოდინს, ისე მოსწავლის
	განვითარებას. შეფასების კრიტერიუმები თანხვედრაშია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და თემებთან. თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები არ არის კურიკულუმით განსაზღვრული დავალების შესაბამისი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც ცოდნის დონის განსაზღვრას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას, რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები, ხოლო მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების შესაბამისი ფორმები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- I - XII კლასების კურიკულუმები
- დანართი N1 - სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის ნამუშევრით
- დანართი N110 -კათედრის ოქმი N1
- დანართი N75 - ისგ
- კათედრის წლიური სამუშაო გეგმა
- დიფერენცირებული დავალების ნიმუშები შეფასების ინდიკატორებით (VII, XI კლ)
- დანართი N-87 რემედიაციის წესის დანართი
- კათედრაზე დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი
- უცხო ენის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები (უცხო ენები)
- შემოქმედებითი დავალებები (უცხო ენები)
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა, ხელოვნება)

- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა-მე-6,7, 8 კლასები)
- შემაჯამებელი დავალებები(მუსიკა, ხელოვნება)
- ისგ (მუსიკა, ხელოვნება)
- ესთეტიკის კათედრის წლიური სამუშაო გეგმა
- დანართი N-32 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია დაწყებითი (I-IV)
- დანართი#1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები I-IV კლასებისათვის;
- შემოქმედებითი დავალებები: ,,პერსონაჟის წერილი პერსონაჟებს“, ,,მედია და ინფორმაცია“, ,,გზის მაკეტის შექმნა“, ,,ცოცხალი ბუნება“, ,,მცენარის თესლის აღმოცენებაზე დაკვირვება“ და სხვ.
- დაწყებითების კათედრის, I-IV კლასის, მათემატიკის რესურსი (დამტკიცებული კათედრის მიერ)
- დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში
- რემედიაციის წესი/დამტკიცებული
- შემოქმედებითი დავალებების რეფლექსიები.
- მოსწავლის დიაგნოსტირება - ანგარიშის ფორმა
- სახელმწიფო ენა:
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ანგარიში და წლიური სამუშაო გეგმა;
- კათედრის ოქმი და დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი;
- ისგ ადაპტირებული დავალებებით;
- შემაჯამებლის ანალიზი.
- კომპიუტერული ტექნოლოგიები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალება;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დიფერენცირებული დავალება;
- კათედრის ოქმები და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, ხელს უწყობს მოსწავლის თვითეფექტურობის ამაღლებას და ზრდის მათ შინაგან მოტივაციას. ამის გარდა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღწერილი განხორციელებული პროექტები საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად. ამას ასევე ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც მიუთითებს, რომ კურულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი აქტივობები რეალურად ხორცილდება. სასწავლო თემები

	შერჩეულია სტანდარტის სავალდებულო თემატური ბლოკების მიხედვით და შეესაბამება მოსწავლის ასკობრივ თავისებურებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსურ-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ყოველივე მოწმობს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში უკეთესად იყოს გააზრებული თემატური ბლოკის მნიშვნელობა, პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში თემის გრაფაში მოცემული დასახელება ჩაიწეროს თემატური ბლოკის გრაფაში, III, IV, V, VI კლასების მსგავსად.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოების შესაბამისად. სასწავლო თემები და დასამუშავებელი ტექსტები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ მიმართულებებს. თემატური ერთეულები ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის ეტაპობრივად დაგეგმვისათვის და საშუალებას აძლევს მასწავლებელს სასწავლო აქტივობები დაგეგმოს. სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის

	დავალება და მასწავლებლის რეფლექსია. წარმოდგენილი მასალები იძლევა წარმოდგენას სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლასწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობას და მიზნობრიობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში წარმოდგენილ თემებს, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. სასწავლო ერთეულების დამუშავება წარიმართება კურიკულუმებში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. ამასთან, სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შეესაბამება პრაქტიკულ სწავლებას, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე სასწავლო პროცესის განხორციელებისას სკოლა ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სასწავლო აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრინციპი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის კოორდინაციას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას, ხოლო შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი იძლევა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაგეგმილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. საჭიროებათა იდენტიფიცირება და უკუკავშირის შეგროვება ძირითადად ხორციელდება შიდა პროფესიული სტრუქტურების ფარგლებში, ხოლო სასკოლო საზოგადოების ჩართულობის სისტემური, დოკუმენტირებული მექანიზმები ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ დამანახა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა, ჩანს მზაობა გაანალიზონ ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის აღქმა-გააზრების თვალსაზრისით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: • სასურველია, კათედრაზე შეიქმნას თითოეული შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასებისთვის საჭირო კონკრეტული შეფასების სქემები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი). • სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და შევიდეს მასში ცვლილებები.

	• სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. • სასურველია, შეფასების სქემები შეიქმნას სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.

უცხოური ენები	შეფასების ვალიდურობას, სანდოობას და სამართლიანობას უზრუნველყოფს სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც კრიტერიუმებად იყენებს უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებს. რაც შეეხება შეფასების

	გამჭვირვალობას და ობიექტურობას, ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეული შემოქმედებითი აქტივობის განხორციელების დროს, მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს და აკრავენ კლასში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი.კათედრის მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობის შესაძლებლობას. კრიტერიუმებში ჩანს, რამდენად მიზნობრივად ფასდება სწავლის შედეგები, მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა და რა კრიტერიუმის დაკმაყოფილება ევალებათ სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დააზუსტოს - რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს - რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა - რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტები, მათ შორის შეფასების რუბრიკები. აღნიშნული ინსტრუმენტები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსწავლეთა სასწავლო მიღწევების შეფასების შესახებ და ასახავს შეფასების გამოყენებულ ფორმებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები დეტალურად აღწერს შეფასების კრიტერიუმებსა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მიდგომებს, რაც ხელს უწყობს შეფასების

	პროცესის გამჭვირვალობას. საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილი რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად იკვეთება მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და შესრულების ინდიკატორებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოყენებულ შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც შეფასების პროცესის ობიექტურობასა და სანდოობას მეტად უზრუნველყოფს.

მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება,

	ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა რომ შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. კათედრის მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს.

	ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის კონტროლს და მიღებული შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების ამსახველი ინფორმაცია ინახება როგორც მატერიალური სახით (მოსწავლეთა პირადი საქმეები), ასევე ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი), რაც

უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობასა და მოძიების შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, პრინციპები)
- საგნობრივი კათედრების ფუნქციები და საქმიანობა
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მოსწავლეთა შეფასების, აღდგენისა და რემედიაციის წესები
- მათემატიკა: I - XII კლასების კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე
- დიფერენცირებული დავალების ნიმუშები შეფასების ინდიკატორებით (VII, XI კლ)
- დანართი N104 - კათედრის ოქმი N 3
- დანართი N1 - სასკოლო სასწავლო გეგმა
- უცხო ენების კურიკულუმები (ინგლისური, რუსული);
- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი);
- შემოქმედებითი დავალების ნაშრომები; მასწავლებლის რეფლექსიები;
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა, ხელოვნება)

- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა-მე-6,7, 8 კლასები)
- შემაჯამებელი დავალებები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა-მე-6,7, 8 კლასები)
- სახელმწიფო ენა
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დანართი # 101 - მოსწავლეთა დიაგნოსტირების ანგარიში -VIII კლასი
- სახელმწიფო ენის კათედრის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები
- მასწავლებლის რეფლექსია განხორციელებულ შემოქმედებით დავალებასთან დაკავშირებით
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ანგარიში და წლიური სამუშაო გეგმა;
- კათედრის ოქმი და დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი;
- ისგ ადაპტირებული დავალებებით;
- შემაჯამებლის ანალიზი

- კომპიუტერული ტექნოლოგიები:
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალება;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დიფერენცირებული დავალება;
- კათედრის ოქმები და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ისე სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსი. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, ონლან ლაბორატორიებს, რასაც ხელს უწყობს კლასებში დამონტაჟებული მონიტორები, რომელსაც კომპიუტერით უკავშირდებიან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოყენებული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

	ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს როგორც ძირითად რესურს. ასევე სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებულ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამატებითი სასწავლო რესურსი ბმულების სახით (ხელოვნების საგანში ინტენსიურად გამოიყენება ტელესკოლის გაკვეთილები, მუსიკის საგანში- სამინისტროს რესურსის სახელწოდებით, მოცემულია აქტივობების და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები, აუდიო და ვიდეო რესურსთან ერთად). სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები, სადაც თავმოყრილია სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსის სია საგნების და კლასების მითითებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში და დაკავშირებულია სასწავლო თემებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია რესურსების შერჩევის ვერიფიკაციის წესი; წარმოდგენილი დამხმარე ელექტრონული რესურსი რეკომენდებულია განათლების სამინისტროს მიერ და სრულად შეესაბამება შესასწავლ საკითხებს. რესურსების შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერსები, ისე ასაკობრივი შესაძლებლობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები, ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები. მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს.
	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებულია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმი. სასწავლო წლის დასწყისში კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსების შერჩევა და ოქმის სახით მათი ჩამონათვალის დამტკიცება. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ისე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და საჭიროებები. აღნიშნული ვალიდაციის პროცესი ხელს უწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი, რომლის მიხედვითაც კათედრაზე მოხდა საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული დამხმარე რესურსის ვალიდაცია. კერძოდ, სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	სკოლას კათედრის ფარგლებში, ისევე როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით, დამტკიცებული აქვს ძირითადი სასწავლო რესურსები. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის სხდომის ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვს კურიკულუმში გამოყენებული დამატებითი ელექტრონული რესურსები. თუმცა კონკრეტული რესურსის აღწერა, მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის დასაბუთება წარმოდგენილი არ აქვს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამატებითი რესურსების შერჩევისა და გამოყენების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც გაიწერება რა რესურს, რა მიზნით და რატომ არჩევს კათედრა.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება დამხმარე რესურსი (ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები, აუდიო და ვიდეო მუსიკალური რესურსი, დოკუმენტური ფილმები, სხვადასხვა თვალსაჩინოება და სხვა). კათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები შერჩეულია სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სასწავლო მიზნების გათვალისწინებით და ხელს უწყობს სასწავლო თემების დამუშავებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, ზოგიერთი რეკომენდებული და შეთანხმებულია განათლების სამინისტროსთან; წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება სკოლის ვალიდაციის წესს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან.
	სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს ლაბორატორია და ლაბორატორიული სამუშაოები მხოლოდ ონლაინ ფორმატში ხორცილედება, რაც აფერხებს ზოგიერთი საკითხის სიღრმისეულ სწავლას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 02.01.2026-02.01.2027 წლები. საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი,

	საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულიმის განხორციელებისთვის აუცილებელი როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსები. თითოეულ მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია და კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს უფროსის/წამყვანის სტატუსი. სკოლა ძირითად რესურსებს იღებს სამინისტროსგან, შესაბამისად ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებს აწვდის დამატებით ელექტრონულ რესურსებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის ამსახველი დოკუმენტი და ყველა ის საჭირო მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, პროექტორები, ფორტეპიანო, ხმის გამაძლიერებლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისთვის განკუთვნილი რესურსი), რესურს-ოთახი, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის მატერიალურ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო აქტივობების

	განხორციელებას. სასწავლო სივრცე და არსებული რესურსები საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაგეგმილი აქტივობები ეფექტიანად წარმართოს. სასწავლო გარემოს ორგანიზებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას. არსებული მატერიალური პირობები ქმნის საფუძველს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ შერჩეული რესურსები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების გზას, რომ მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თუმცა ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა (მოძველებული პერსონალური კომპიუტერები)
	მცირედით (დროში) აფერხებს სამუშაო პროცესს, თუმცა ეს ხელს არ უშლის საბოლოო მიზნის მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ფლობენ შესაბამის საგნობრივ განათლებასა და პროფესიულ სტატუსს (უფროსი, წამყვანი, მაძიებელი), რაც დასტურდება მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კათედრების მიხედვით (ქართული და

უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, დაწყებითი კლასები, სპორტი და ესთეტიკური აღზრდა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები), რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის კოორდინაციასა და კურიკულუმის განხორციელების მხარდაჭერას.

თითოეულ საგანს, ძირითადად, ასწავლის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგი. ცალკეულ შემთხვევაში იკვეთება საგნობრივი კომპეტენციის ნაწილობრივი შეუსაბამობა — სამოქალაქო განათლების სწავლება ხორციელდება მასწავლებლის მიერ, რომელსაც აღნიშნულ საგანში დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია არ აქვს. აღნიშნული გარემოება შესაბამისობაშია მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ გარდამავალ პერიოდთან, თუმცა საჭიროებს გათვალისწინებას სამომავლოდ, მოქმედი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- მათემატიკა: I - XII კლასების კურიკულუმები
- კათედრის ოქმი N1
- დანართი N110 -კათედრის ოქმი N1
- კათედრაზე დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი

- უცხო ენების კურიკულუმები (ინგლისური, რუსული);
- უცხო ენის კათედრის N1 ოქმის დანართი - რესურსების ჩამონათვალი;
- სასკოლო საწავლო გეგმა;
- სკოლის ინფრასტრუქტურის დამადასტურებელი ფოტომასალა
- მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმები
- ესთეტიკის კათედრის რესურსები
- დანართი N-53 მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები
- ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომის ოქმები
- დაწყებითი (I-IV)
- კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე (პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით);
- შეფასების რუბრიკები;
- დანართი#1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითების კათედრის, I-IV კლასის, მათემატიკის რესურსი (დამტკიცებული კათედრის მიერ)
- დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში
- რემედიაციის წესი/დამტკიცებული
- სახელმწიფო ენა
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ანგარიში და წლიური სამუშაო გეგმა;
- კათედრის ოქმი და დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი;
- ისგ ადაპტირებული დავალებებით;
- შემაჯამებლის ანალიზი.
- კომპიუტერული ტექნოლოგიები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალება;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დიფერენცირებული დავალება;
- კათედრის ოქმები და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი
- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის/სტატუსის ამსახველი დოკუმენტაცია

- საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი და ფუნქციების აღწერა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა განაწილება საგნების მიხედვით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესის პერიოდულ ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ იკვეთება დიაგნოსტიკური შეფასების სისტემური გამოყენება სასწავლო პროცესში, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა მისი დანერგვის გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისთვის. კათედრების ფარგლებში განხილული შედეგები ქმნის საფუძველს სწავლა-სწავლების პროცესის ადაპტაციისთვის.

ამასთანავე, კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკა ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება (მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლებს შორის), თუმცა არ არის დანერგილი და ფორმალიზებული ერთიანი შიდა მექანიზმი (დოკუმენტი, ინსტრუმენტი), რაც უზრუნველყოფდა სისტემურ დაკვირვებასა და შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის ხელშეწყობისთვის (რემედიაცია, ინდივიდუალური მიდგომები) და მასწავლებელთა პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება დაკვირვება მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღწევებზე და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სასწავლო პროცესის ადაპტაცია. ასევე, პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგსა და აქტივობაში, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია (ელექტრონული ჟურნალი, პირადი საქმეები)
- რემედიაციის/ინდივიდუალური მუშაობის ამსახველი მასალები
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ამსახველი დოკუმენტაცია (ტრენინგებში მონაწილეობა, სერტიფიკატები) • გაკვეთილზე დაკვირვების მასალები (მათემატიკა)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებს, შემოქმედებით დავალებებს, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობას. შეფასების მონაცემები აისახება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე მოსწავლეთა

პირად საქმეებში, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენებას მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სასწავლო გარემო, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ჩართულობა და სასწავლო პროცესში გამოვლენილი პროგრესი. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთჯერადი აქტივობებით და მოიცავს მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა კონტექსტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები სასწავლო პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა დაკვირვება, ზეპირი და წერითი დავალებები, შემოქმედებითი დავალებები და მიმდინარე შეფასება. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრესი, ჩართულობა და მიღწევები. ასევე გამოიყენება რემედიაციისა და ინდივიდუალური მიდგომების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება შეფასების პროცესში მონაცემთა სისტემური ანალიზისა და მისი შედეგების სტრუქტურირებული გამოყენება კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორე
ბის მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტაცია
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- რემედიაციის/ინდივიდუალური მუშაობის ამსახველი მასალები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლაში კურიკულუმის განვითარების საჭიროებები ძირითადად განისაზღვრება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიღებული გამოცდილებისა და საგნობრივი კათედრების ფარგლებში ჩატარებული განხილვების საფუძველზე. კათედრების შეხვედრებზე იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეები და განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება კურიკულუმის განვითარების საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტის სისტემური, ფორმალიზებული სახით არსებობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კურიკულუმის განვითარება და მისი ცალკეული ელემენტების გადახედვა ხორციელდება წინარე გამოცდილების, სწავლასწავლების პროცესში მიღებული დაკვირვებებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო აქტივობების, დავალებებისა და მიდგომების მოდიფიცირება, რაც მიუთითებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში მისი ადაპტაციის პრაქტიკაზე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად იკვეთება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის სისტემური შექმნისა და დოკუმენტირების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების სტრუქტურირებულ ანალიზს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი :24.03.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თინა ძულიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თინათინ ბედუკაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ალა სანამიანი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ჯიმშიაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზურაბ ურიადმყოფელი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა კალმახელიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეონა შერაზადაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნატო გერგაია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ბერიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი